საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №24/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2020 წლის 26 თებერვლის №24 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 27 მაისის №24/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორები მიუთითებენ, მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით, საქმის განხილვისათვის დადგენილი ვადის დარღვევაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 13 იანვარს, -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების - -- --, -- - -, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, დივიდენდის გაცემის, ზიანის ანაზღაურებისა (--) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორის განთავისუფლების მოთხოვნით.

2016 წლის 20 იანვარს, სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად, მოსარჩელეს განესაზღვრა 2 თვიანი ვადა მოპასუხეთათვის გზავნილის გაგზავნა/ჩაბარებისთვის.

2016 წლის 29 თებერვალს, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მოპასუხეებისათვის სარჩელის ჩაბარების დამადასტურებელი საფოსტო გზავნილები.

მოპასუხეებმა შესაგებელი წარადგინეს 2016 წლის 4 მარტს.

2016 წლის 12 თებერვალს, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. განჩინება გასაჩივრდა. 2016 წლის 23 მარტის განჩინებით,

საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსაბუთებლობის მოტივით გადაიგზავნა ზემდგომ ინსტანციაში (საჩივარი ზემდგომ ინსტანციაში იხილებოდა - 12.04.2016 – 3.08.2016-მდე).

საქმის განხილვის მიზნით, 2016 წლის 8 სექტემბერს ჩაინიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, რომელიც გადაიდო მოსამართლის შვებულებაში ყოფნის გამო. (2016 წლის 5 სექტემბრიდან 16 სექტემბრამდე პერიოდში მოსამართლემ ისარგებლა კუთვნილი შვებულებით (12 დღე)).

2016 წლის 5 ოქტომბერს, მოსარჩელემ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და მოითხოვა აქციონერთა საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობა. 2016 წლის 10 ოქტომბერს, სასამართლომ მოპასუხეებს გაუგზავნა დაზუსტებული სარჩელი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. 2016 წლის 14-15 ნოემბერს, დაზუსტებულ სარჩელზე მოპასუხეებმა წარადგინეს შესაგებლები.

საქმის განხილვის მიზნით პირველი მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 4 ოქტომბერს. 2018 წლის 3 ოქტომბერს, მოპასუხეებმა და მათმა წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს სხდომის გადადების თაობაზე (პროცესი ჰქონდა -- სააპელაციო სასამართლოში 1.10.2018, 14:00 საათზე). საქმის განხილვა გადაიდო 2018 წლის 13 დეკემბერს. აღნიშნული სხდომა გადაიდო 2019 წლის 11 ივნისს (მიზეზის შესახებ რაიმე სახის ცნობა საქმეში არ დევს). აღნიშნული სხდომის გადადების თაობაზე კვლავ იშუამდგომლა მოპასუხის წარმომადგენელმა (საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო). სასამართლო სხდომა გადაიდო სხვა დროისათვის.

მოსამართლემ მოსამზადებელი სხდომა დანიშნა 2019 წლის 12 დეკემბერს. 2019 წლის 11 დეკემბერს მოპასუხემ და მისმა წარმომადგენელმა კვლავ იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე (მიზეზი ერთი-ერთი მოპასუხის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება). მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და სასამართლო სხდომა გადადო სხვა დროისათვის.

მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2020 წლის 30 იანვარს. სხდომის გადადების თაობაზე იშუამდგომლა მოპასუხის წარმომადგენელმა (მიზეზი: სხვა სასამართლო სხდომის დრო დაემთხვა). მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2020 წლის 26 მარტს, რომელიც არ ჩატარებულა და კვლავ გადაინიშნა 2020 წლის 16 ივლისს.

2.2. 2019 წლის 25 მარტს, -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების - -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, აქციონერთა საერთო კრების ოქმის და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების გაუქმების მოთხოვნით.

2016 წლის 28 მარტს, სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად, მოსარჩელეს განესაზღვრა ვადა გზავნილის მოპასუხეებისათვის ჩასაბარებლად. 2019 წლის 18 აპრილს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი.

2019 წლის 26 მარტის განჩინებით, მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. განჩინება გასაჩივრდა, საჩივარი 2019 წლის 12 აპრილს მიღებულ იქნა წარმოებაში. საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსაბუთებლობის მოტივით გადაეგზავნა ზემდგომ ინსტანციას (12.06.2019). -- რაიონულ სასამართლოს საქმე დაუბრუნდა 13.08.2019 წელს - პირველი ინსტანციის განჩინება უცვლელი დარჩა).

2019 წლის 8 ოქტომბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და საქმეზე სხდომის დანიშვნა მოსთხოვა, თუმცა ამ განცხადებას რაიმე სახის შედეგი არ მოჰყოლია.

სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა ჩანიშნულია 2020 წლის 16 ივლისს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 27 მაისის დასკვნა:

-- -- და -- -- 2020 წლის 26 თებერვლის №24 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლე -- -- გააჭიანურა საქმის განხილვა, დაარღვია საქმის განხილვის კანონით განსაზღვრული ვადები, რამაც ზიანი მიაყენა მხარეს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე[1].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება[2].

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II 7

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას[3].

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია[4].

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და

[3] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2
[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონკრეტული საქმის სირთულე, საქმეზე მოსამართლისა და მხარეთა მიერ განხორციელებული მოქმედებები, ჩატარებული სხდომები და სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებები.

საჩივრის ავტორი მიუთითებს ორ სამოქალაქო საქმეზე, რომელთა განხილვის ვადები მოსამართლის მიერ დაირღვა, ესენია: საქმე -- -- და საქმე -- --.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსამართლე -- -- იხილავს სამოქალაქო სამართლის დავებს, ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის 31-ე პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

-- -- საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხეებს სარჩელი ჩაბარდათ 2016 წლის 29 თებერვალს, შესაბამისად საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა უნდა მოხდეს კონკრეტული თარიღიდან. საქმის განხილვა მიმდინარეობს 3 წლის და 3 თვის განმავლობაში და ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამ ვადას აკლდება ის პერიოდი (4 თვე), რაც საჩივრის განხილვისთვის იყო საჭირო ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში.

მნიშვნელოვანია ასევე ვიმსჯელოთ მოსამართლე -- -- შვებულებაში ყოფნის პერიოდზე. 2016 წლის - შვებულება 27.01. – 12.02; 05.09. – 16.09; 01.12.2016 (16 დღე); 2017 წლის შვებულება - 02.02. – 24.02; 11.07. – 14.07; 11.09. – 22.09; 27.11. – 1.12; 4.12. – 7.12. (25 დღე); 2018 წლის შვებულება - 20.02. – 23.02; 03.04. – 05,04; 10.04.2018, 10.07 – 27.07; 18.09. – 20.09; 2.11.2018 (19 დღე); 2019 წლის შვებულება - 28.03.2019, 03.05.2019, 27.05. – 29.05; 12.08. – 30.08; 23.07.2019, 09.08.2019, 03.09.- 05.09. (26 დღე); 2020 წლის შვებულება - 30.01. – 31.01. (1 დღე). საერთო ჯამში მოსამართლის შვებულებაში ყოფნის პერიოდი შეადგენს 3 თვეს.

სამოქალაქო საქმეზე, საჩივრის ზემდგომ ინსტანციაში განხილვისა და მოსამართლის კუთვნილ შვებულებაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმე -- -- მოსამართლის მიერ იხილება 2 წლის და 8 თვის განმავლობაში.

4.2. რაც შეეხება სამოქალაქო საქმეს -- --, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მოპასუხეებმა სასამართლოში შესაგებელი წარადგინეს 2019 წლის 18 აპრილიდან, შესაბამისად, საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ათვლაც იწყება კონკრეტული თარიღიდან. საქმეზე პირველი მოსამზადებელი სხდომა მოსამართლემ ჩანიშნა 2020 წლის ივლისის თვეში, 1 წლის და 3 თვის შემდგომ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე წარდგენილი საჩივრის განხილვის მიზნით, საქმე ზემდგომ ინსტანციაში იხილებოდა (12.06.2019-13.08.2019) 2 თვის განმავლობაში.

ამდენად, კონკრეტული საქმის განხილვის ამ ეტაპისათვის ჯერ არ დასრულებულა (11 თვე).

უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა. მოსამართლე -- --

- 2016 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა 461 საქმე, საიდანაც დაასრულა 336 საქმე (72%); ხოლო, როგორც -- -- სასამართლოს მოსამართლეს ეწერა 185 საქმე, საიდანაც დაასრულა 161 საქმე (87%);
- 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა 455 საქმე, საიდანაც დაასრულა 290 საქმე (64%); ხოლო, როგორც -- -- სასამართლოს მოსამართლეს ეწერა 168 საქმე, საიდანაც დაასრულა 113 საქმე (67%);
- 2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლემ დაასრულა სამოქალაქო საქმეთა 70.8% და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების 100%; ხოლო როგორც -- -- სასამართლოს მოსამართლემ დაასრულა სამოქალაქო საქმეთა 97.96% და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების 100%;
- 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა - 504 სარჩელი, საიდანაც დაასრულა - 305 საქმე (60%, ხოლო როგორც -- -- სასამართლოს მოსამართლეს ეწერა - 2 საქმე, საიდანაც დაასრულა - 2 საქმე (100%);

მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე, სტატისტიკური მონაცემები, მოსამართლის წარმოებაში აღნიშნული საქმის ყოფნის პერიოდი და განსახილველ საქმესთან მიმართებით მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ კონკრეტული ვადა მიჩნეულ იქნეს გონივრულად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები არ იკვეთება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, ხოლო 4 წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისათვის საკმარის საფუძველს.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №24/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი